

სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვის, კლასიდან კლასში გადაყვანისა და დათხოვნის პირობები

29.1. სკოლის პირველ კლასში მიიღებიან მოსწავლეები, რომელთაც შეუსრულდათ, ან მიმდინარე წლის ბოლომდე უსრულდებათ სკოლის ასაკი (6 წელი), იქნება ეს საქართველოს თუ სხვა ქვეყნის მოქალაქე;

29.2. კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს შემდეგი დოკუმენტაციის საფუძველზე:

- მშობლის ან მზრუნველის განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
- დაბადების მოწმობა (დედანი);
- ბავშვის სამედიცინო ფორმა – №26;
- მშობელთა (მეურვის) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. (პირ.მოწ.ქსეროასლი)
- ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;

29.3. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში:

- მოსწავლის პირადი საქმე;
- ბავშვის სამედიცინო ფორმა – №26;
- მიმდინარე შეფასება. (თუ მოსწავლე სხვა სასწავლო დაწესებულებიდან გადმოდის სასწავლო პროცესის პერიოდში)
- ბრძანების ამონაწერი ამორიცხვის შესახებ;
- ყველა ახალი მოსწავლე, საშუალო საფეხურზე მიიღება სკოლის მიერ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული ტესტირების საფუძველზე.

29.4. სკოლაში ჩარიცხულ ყველა მოსწავლეზე იხსნება პირადი საქმე, რომელშიც დაცული უნდა იყოს:

- მშობლის განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე;
- დაბადების მოწმობის დედანი;
- ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
- მშობელთა (კანონიერი წარმომადგენლის) რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და პედაგოგიური დაკვირვების შედეგები;

29.5 სკოლაში .მოსწავლეთა მინიმალური რაოდენობა 3 და ხოლო, მაქსიმალური 18.

29.6 მოსწავლის ჩარიცხვაზე მშობელს შეიძლება უარი ეთქვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სკოლის მოსწავლეთა რეგლამენტი ამოწურულია.

29.7 სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის შემთხვევაში მოსწავლეს ჩაუტარდება

გასაუბრება, ხოლო საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ტესტირება;

29.8. ადმინისტრაცია ვალდებულია სკოლაში ჩარიცხვისას მოსწავლესა და მის მშობელს გააცნოს მოსწავლეთა ქვევის კოდექსი.

29.9. მოსწავლე კლასიდან მომდევნო კლასში გადაიყვანება პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, დადებითი საბოლოო შედეგების საფუძველზე;

29.10. კონკრეტულ საგანში ან საგანთა ჯგუფში წარუმატებლობის შემთხვევაში, მოსწავლეს ეძლევა გარკვეული დავალება განსაზღვრული ვადით. დავალების დაძლევის შემთხვევაში მოსწავლე გადადის შემდგომ კლასში, დაუძლეველობის შემთხვევაში კი რჩება კურსის განმეორებით მოსასმენად;

29.11. ა) სკოლაში დაწესებულია შეფასების ათბალიანი სისტემა; გარდა დაწყებითი კლასებისა, სადაც მოსწავლეები ფასდებიან განმავითარებელი შეფასებით.

ბ) V-VI კლასებში; ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლის საერთო წლიური აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი თუ შეადგენს 5,4 ქულას, მოსწავლეს უტარდება საშემოდგომო გამოცდა. იგი ისმება კორექციის ჯგუფში, საგნობრივი კურსის განმეორებით მოსასმენად;

გ) საბაზო საფეხურიდან საშუალო საფეხურზე გადასვლის უფლება მოსწავლეს ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კი მისი აკადემიური მოსწრების საერთო წლიური მაჩვენებელი (ჯამი) იქნება 5,5. ხოლო თუ კი საბაზო საფეხურის მოსწავლის წლიური მაჩვენებელი იქნება ოთხ ქულაზე მეტი, მაგრამ ვერ გადააჭარბებს ხუთ ქულას, ასეთ შემთხვევაში მოსწავლეს მიეცემა საბაზო საფეხურის დამთავრების ატესტატი და დათხოვნილ იქნება სკოლიდან;

დ) შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთათვის მოქმედებს სპეციალური პროგრამები და შეფასების სისტემა;

29.12. მოსწავლეთა სკოლიდან დათხოვნა რეგულირდება მოსწავლეთა ქცევის კოდექსით, შინაგანაწესით და მოქმედი კანონმდებლობით.